

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

პროგრამის აღწერა და მიზანი:

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება;

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა;

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	70,615.00	90,656.0	79,639.2	87.85%	
27 01 07	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	4,215.0	4,627.6	4,230.7	91.4%	
27 06 01	სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის		452.7	432.4	95.5%	
27 06 02	ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა	5,000.0	5,493.4	5,360.7	97.6%	
27 06 03 01	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	61,000.0	79,266.2	68,822.7	86.8%	
27 06 04 02	საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა		28.2	20.2	71.6%	
27 06 05	საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა	400.0	787.8	772.5	98.1%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, განხორციელდა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა საცხოვრებელი სახლები/ბინები. დევნილ ოჯახებს გაეწიათ ფულადი დახმარება; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებისთვის მოხდა საცხოვრებელი სახლის შესყიდვა.

საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გაიგზავნა 86 833 მოკლე ტექსტური შეტყობინება; 156 სტუდენტს აუნაზღაურდა მგზავრობის საფასური; „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში, 46 ბენეფიციარს გადაეცა თვითდასაქმებისთვის საჭირო სახელობო იარაღები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

მიმდინარეობს პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელება; ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა, დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა, დევნილთა გრძელვადიანი განსახლება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

მიმდინარეობს პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელება; ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა, დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა, დევნილთა გრძელვადიანი განსახლება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება შეუფერხებლად; ეკომიგრანტები უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრებელი სახლებით; დაბრუნებულ მიგრანტებს გაუმარტივდათ სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესი; განხორციელდება დევნილთა გრძელვადიანი განსახლება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პროცესი.

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 01 07	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	4,215.0	4, 627.6	4,230.7	91.4%	

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

დევნილის სტატუსი მიენიჭა 4 339 პირს (240 სრულწლოვანი, 4 099 ახალშობილი) და სტატუსი აღუდგა 352 პირს. ამასთანავე, დევნილის სტატუსი შეუწყდა 2 390 პირს (გარდაცვალების გამო) და ჩამოერთვა 93 პირს.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების მისაღებად შემოსული განცხადებებიდან კომისიური წესით დასაფინანსებლად შეირჩა 12 384 განცხადება და 12 384 დევნილ ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება;

დროებითი განსახლების მიზნით საცხოვრებლის დაქირავების ხარჯების ასანაზღაურებლად შემოსული განცხადებებიდან კომისიური წესით დასაფინანსებლად შეირჩა 1 462 განცხადება და 1 462 დევნილ ოჯახს გაეწია ბინის დაქირავებისათვის ფინანსური დახმარება;

86 883 მოკლე ტექსტური შეტყობინება გაიგზავნა საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ;

„დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში, 46 ბენეფიციარს გადაეცა თვითდასაქმებისთვის საჭირო სახელობო იარაღები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა თვითდასაქმებადი პროფესიების ჩამონათვალი. თვითდასაქმებადად განისაზღვრა 184 პროფესია. აღნიშნული პროფესიები დაჯგუფდა 10 დარგად და ჩაიშალა 115 მიმართულებად;

ქვეპროგრამის დასახელება: სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (პროგრამული კოდი - 27 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 06 01	სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის		452.7	432.4	95.5%	

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოში დაბრუნებული ქართველი მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სოციალური ინიციატივების დაფინანსების და ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების კომპონენტით სარგებლობის პროგრამაში ჩაერთო 257 ბენეფიციარი, აქედან კომისიამ განიხილა 234 ბენეფიციარის საქმე და დაფინანსება მიიღო 117 ბენეფიციარმა;
- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსებისათვის სააგენტოს მომართა 54-მა ბენეფიციარმა და გაიცა 24 ადმინისტრაციული დაპირება;
- პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამით სარგებლობის მიზნით სააგენტოს მომართა 33-მა ბენეფიციარმა;
- სკოლის ასაკის დაბრუნებული მიგრანტი მოსწავლეებისათვის დისტანციური სწავლებაზე ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულდა გამოვლინდა 19 მოსწავლე და გადაეცა კომპიუტერი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალიდან დაბრუნებული ქართველი მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

სოციალური ინიციატივების დაფინანსების და ეკონომიკური აგენტით მოსარგებლე 117 ბენეფიციარი, სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით დაფინანსებული 24 ბენეფიციარი

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი სოციალური ინიციატივების დაფინანსების და ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების კომპონენტით სარგებლობის პროგრამაში დაფინანსება მიიღო 117 ბენეფიციარმა; სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება მიიღო 24 ბენეფიციარმა; პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამით ისარგებლებს 33 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის პროგრამით ისარგებლებს 400-მდე ქართველი მიგრანტი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ინტეგრირებულ დევნილთა რაოდენობა;

ქვეპროგრამის დასახელება: ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (პროგრამული კოდი - 27 06 02)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 06 02	ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა	5,000.0	5,493.4	5,360.7	97.6%	

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის შეძენილ იქნა 211 (თბილისი - 86, იმერეთის რეგიონი - 124, სამეგრელოს რეგიონი - 1) საცხოვრებელი სახლი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

სტიქიით დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის შეძენილ იქნა 211 საცხოვრებელი სახლი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შესწავლილ იქნა 2 323 ეკომიგრანტი ოჯახის შესახებ ინფორმაცია. განხილულ იქნა 997 ეკომიგრანტი ოჯახის მონაცემები და აქედან საცხოვრებელი სახლის შესყიდვაზე თანხმობა ეთქვა 422 ოჯახს.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საცხოვრებლით დაკმაყოფილდება ეკომიგრანტთა 200-მდე ოჯახი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საცხოვრებლით დაკმაყოფილებულ ეკომიგრანტთა რაოდენობა;

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი - 27 06 03 01)

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 06 03 01	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	61,000.0	79,266.2	68,822.7	86.8%	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა;
დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. საკუთრებაში ბინები გადაეცა 1 318 ოჯახს;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:
 - ✓ მიმდინარეობდა დევნილთა განსახლების ობიექტებში და ახალაშენებულ კორპუსებში ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის, წყლის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მიერთება-მოწყობის და სახურავის გადახურვის სამუშაოები;
 - ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 876 საცხოვრებელი სახლი (თბილისი - 360, იმერეთის რეგიონი - 56, სამეგრელოს რეგიონი - 460).
- ქ. თბილისის მერიასთან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 41 ობიექტზე;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 12 384 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 462 ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება დროებითი საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე);
- დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა:
 - ✓ შპს „ვარსკვლავი“ (ს.კ. 417892052), ქ. გორი, დანიელ ჭონქაძის ქუჩა, N 1ბ - 59 ბინა;
 - ✓ შპს „ტიფლისი“ (ს.კ. 400232645), ქ. თბილისი, არტურ ლაისტის ქუჩაზე (მეგობრობის პარკის დასაწყისში)- 11 ბინა;
 - ✓ შპს „აღმაშენებელი ქუთაისი“ (ს.კ. 212904614), ქ. ქუთაისი გ. ტაბიძის ქ. #38-ში - 245 ბინა;
 - ✓ შპს „აღმაშენებელი ქუთაისი“ (ს.კ. 212904614), ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი #120-ში და გ. ტაბიძის ქ. #38-ში - 29 ბინა;
 - ✓ შპს „ნიუ ლაიფ 1“ (ს.კ. 431951961), ქ. ქუთაისი, ი. პეტრიწის ქუჩაზე - 5 ბინა;
 - ✓ შპს „დავიდე“ (ს.კ. 406232036), ქ. თბილისი, ვარკეთილ ორსა და ვაზისუბნის საცხოვრებელს შორის მდებარე კორპუსი - 260 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს);
 - ✓ ი.მ. დავითი კოსტავა (ს.კ. 60001001133) ქ. ქუთაისი, განჯას ქ. #12-ში - 106 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს);
 - ✓ შპს „მს ბილდერი“ (ს.კ. 404552382), ქ. თბილისი, ვიქტორ კუპრადის ქ. #12ა-ში - 82 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს);

- ✓ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „დადიანი პალასი“ (ს.კ. 220420113), ქ. ზუგდიდი, დადიანის ქ. #33-ში - 34 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს);
- ✓ შპს „კოდი“ (ს.კ. 402050016), ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი #5ა-ს და #4ა-ს მიმდებარედ - 73 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს);
- ✓ ი.მ. ლევან სისვაძე (ს.კ. 01020007733), ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #16ა-ბ-ს მიმდებარედ - 16 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს);
- ✓ შპს „მწვანე სახლი დეველოპმენტი“ (ს.კ. 400290957), ქ. თბილისი, რეზო გაბაშვილის III გასასვლელი #28-ში - 17 ბინა (ჩაბარდება 2022 წელს);
- ✓ შპს „ვარსკვლავი“ (ს.კ. 417892052), ქალაქი გორი, შოთა რუსთაველის ქუჩა N88-ში - 68 ბინა (ჩაბარდება 2021 წელს).
- ახალაშენებულ კორპუსებში გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 1 003 ოჯახი;
- ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 21 ობიექტზე გაფორმდა ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად;
- განხორციელდა 416 დევნილი ოჯახის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთება - ინდივიდუალური გაზიფიცირება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - - განხორციელდა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების 5 ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მოხდება საშუალოდ 3 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 1 318 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა; 1 003 ოჯახი დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით; სოფლად სახლის შესყიდვის პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 876 საცხოვრებელი სახლი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 560-მდე დევნილ ოჯახს გადაეცემა ქართველი მენაშენებისაგან შესყიდული ბინა; სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 800-მდე საცხოვრებელი სახლის შესყიდვა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი -

ქართველი მენაშენეებისაგან შესყიდული ბინების რაოდენობა; საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ბინა; გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 2 900-მდე დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება; დახმარების გაცემის დროს განხორციელდა გენდერული ასპექტების გათვალისწინება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 10 000-მდე დევნილ ოჯახს გაეწევა საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება; დახმარების გაცემის დროს გაგრძელდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება; დახმარების გაცემის დროს გაგრძელდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 21 ობიექტზე განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 20-მდე ობიექტზე განხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების მიზნით, განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მოხდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 29-მდე ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 150-მდე ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მათ საკუთრებაში არსებულ

ობიექტებში (სულ 150-მდე ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი - 27 06 04 02)

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 06 04 02	საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა		28.2	20.2	71.6%	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

პროგრამის ფარგლებში უწყვეტად, დისტანციურ რეჟიმში ხორციელდებოდა საგანმანათლებლო კურსების (ქართული ენა, სამოქალაქო განათლება, სოც. კულტურული ცნობიერების ამაღლება) სწავლება. ქართული ენის სწავლების პროცესში ჩართულია 60 ბენეფიციარი;

საკონსულტაციო სერვისით ისარგებლა 100-მა ბენეფიციარმა, რომელთაც გაეწიათ დახმარება ჯანდაცვის, იურიდიულ, საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლე 35 ბენეფიციარს გაეწია სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებები.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამით ისარგებლებს 100-მდე ბენეფიციარი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საქართველოში მცხოვრებ საერთაშორისო დაცვის მქონე და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაცია

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 06 05)

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27 06 05	საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა	400.0	787.8	772.5	98.1%	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 86 883 მოკლე ტექსტური შეტყობინება გაიგზავნა საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
- დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ 156 სტუდენტს აუნაზღაურდა მგზავრობის საფასური;
- „განსახლებულ დევნილთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 2019 წელს გამარჯვებული ბენეფიციარებისთვის მიმდინარეობს შესყიდვა 11 მინი ტრაქტორისა და 2 მოტობლოკის ძირითადი იმპლიმენტებით;
- „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში, 46 ბენეფიციარს გადაეცა თვითდასაქმებისთვის საჭირო სახელობო იარაღები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა თვითდასაქმებადი პროფესიების ჩამონათვალი. თვითდასაქმებადად განისაზღვრა 184 პროფესია. აღნიშნული პროფესიები დაჯგუფდა 10 დარგად და ჩაიშალა 115 მიმართულებად;
- „სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში, მიღებული იქნა 44 საგრანტო განაცხადი. აქედან საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა 32-მა. დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 15 განაცხადზე. შესაბამისად, მომზადდა 15 საგრანტო ხელშეკრულება;
- „დევნილთა ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში მიღებულ იქნა 342 განაცხადი, აქედან საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა 287-მა. დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 135 განაცხადზე და შესაძენია 257 ნივთი, აქედან შეძენილია 193 ნივთი.

•

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საარსებო წყაროების პროგრამებში დაფინანსდა 47 ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საარსებო წყაროების პროგრამებში განხორციელდება 300-მდე ბენეფიციარის მიერ მიერ წარმოდგენილი პროექტის დაფინანსება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საარსებო წყაროების პროგრამებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა.